სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №02-423

ქ. თბილისი

19.03.2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი დოქტორანტურის საფეხურზე გამოცხადებული მიღების ფარგლებში ინგლისური ენის გამოცდის ჩატარების დროის, ადგილის, საგამოცდო და სააპელაციო კომისიების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 56-ე მუხლის, საქართველოს განათლების და განათლების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს მიერ 2014 წლის 5 ნოემბრის №105 სხდომის ოქმით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების" 6.4. პუნქტის საფუძველზე, რექტორის 2015 წლის 30 იანვრის N03-80 ბრძანებისა მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2015 წლის 18 მარტის N02-2955/15 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1.ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დოქტორანტურის საფეხურზე გამოცხადებული მიღების ფარგლებში ინგლისური ენის გამოცდა ჩატარდეს 2015 წლის 21 მარტს 09:00 საათზე, A 407 და A307 აუდიტორიებში, მის. ჭავჭავაძის N32.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული გამოცდის ჩასატარებლად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

რეზო მარსაგიშვილი - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი;

თამარ ჭანუყვაძე- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი;

ნინო გულიაშვილი-ინგლისური ენის მასწავლებელი ბრიტანეთის საბჭოში.

3. დამტკიცდეს სააპელაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნინო თევდორაძე- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ნინო კირვალიძე- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, გიორგი გვალიას;

5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

6. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს, ამ ბრძანებით განსაზღვრულ პირებს.

რექტორი

გიგა ზედანია